ქალაქ თბილისის მერია

2278766
11/14084954-17
01.04.2014

ნოდარი ივანიძე (01028000495),
კახეთის გზტ რკინიგზის ჩიხი #20

თქვენს მიერ, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით, ქ. თბილისის მერიაში შემოტანილი 2014 წლის 25 მარტის #11/14084954-17 განცხადების პასუხად გაწვდით, ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის #000444 ოქმის და დადგენილების ასლებს. გარდა იმ ინფორმაციისა, რომელიც შეიცავს სხვა პირის პერსონალურ მონაცემებს.

დანართი: 4 ფურცელი.

თბილისის მერია / ქ. თბილისის მერიის
იურიდიული საქალაქო სამსახური / საჯარო
ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და ეფექტური
საჯარო მმართველობის მხარდაჭერის განყოფილება
საქალაქო სამსახურის განყოფილების უფროსი

ილია გელაშვილი

.2014წ.

ქ. თბილისი

ო ქ მ ი №000444

განხილული იქნა მითითება №000444 18.12.2013წ. (შემდგენი - ელ. ბერიშვილი) და შემოწმების აქტი №000444 08.01.2014წ. (შემდგენი – ელ. ბერიშვილი) შედგენილი შპს „ფაზისი"-ს (ობიექტის მისამართი: ქ. თბილისი, რკინიგზის ჩიხი №20, ს/კ №01.19.21.002.032) მიმართ;

სხდომაზე გამოცხადნენ მოქ. (წარმომადგენელი) [redacted]

(პირადი № [redacted])

[redacted]

[redacted]

გაეცანი ოქმს

ქალაქ თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

თბილისი 0160, შარტავას ქ. 7 ტელ.: 378501, 378396

№ 4-1/062-14 28 02 2014 წ.

დადგენილება №000444
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმეზე

28.02.2014წ. **ქ.თბილისი, შარტავას 7**

მე, სამსახურის უფროსის მოადგილემ უჩა ზაქაშვილმა განვიხილე 2013 წლის 18 დეკემბრის №000444 მითითება და 2014 წლის 08 იანვრის №000444 შემოწმების აქტი შედგენილი **შპს „ფაზისი"-ს** (მის: ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი, რკინიგზის ჩიხი №20) მიმართ "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის" საქართველოს კოდექსის 44-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ" პუნქტით გათვალისწინებული დარღვევისათვის

გამოვარკვიე:

ქ. თბილისში, კახეთის გზატკეცილი, რკინიგზის ჩიხი №20-ში (ს/კ №01.19.21.002.032) შპს „ფაზისი"-ს მიერ განხორციელდა კაპიტალური შენობა-ნაგებობის მშენებლობა შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაციის გარეშე.

სამსახურის სპეციალისტის მიერ "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის" საქართველოს კოდექსის 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სამართალდამრღვევის მიმართ 2013 წლის 18 დეკემბერს შედგენილ იქნა მითითება №000444, რომლითაც მხარეს განესაზღვრა 15 (თხუთმეტი) დღიანი ვადა მითითების გაცემის მომენტისათვის არსებული შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაციის წარმოსადგენად ან ობიექტის დემონტაჟის განსახორციელებლად.

2014 წლის 08 იანვარს "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის" საქართველოს კოდექსის 25-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სამსახურის სპეციალისტის მიერ შედგა შემოწმების აქტი №000444, რომლითაც დაფიქსირდა მითითების მოთხოვნათა შეუსრულებლობა.

2014 წლის 04 თებერვალს მოცემულ საქმესთან დაკავშირებით გაიმართა საქმის განხილვა. საქმის განხილვის თარიღის შესახებ სათანადო წესით ეცნობა მხარეს. სხდომაზე არ გამოცხადდა შპს „ფაზისი".

2014 წლის 07 თებერვალს მოცემულ საქმესთან დაკავშირებით ასევე გაიმართა საქმის განხილვა. საქმის განხილვის თარიღის შესახებ სათანადო წესით ეცნობა მხარეს. სხდომაზე გამოცხადდა შპს „ფაზისი"-ს დირექტორი მოქ. ზაზა ივანიძე (პ/ნ [redacted], რომელმაც დაადასტურა მითითებისა და შემოწმების აქტის ჩაბარება და განაცხადა, რომ აღნიშნული [redacted] განახორციელა შპს „ფაზისი"-მ 2013 წელს შესაბამისი [redacted] დოკუმენტაციის გარეშე. მხარე აპირებს მიმართოს ქ. თბილისის [redacted] – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურს ნებართვის ასაღებად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან შპს „ფაზისი"-ს მიერ დენილია "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის" საქართველოს კოდექსის 44-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ" პუნქტით გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევა, კერძოდ, ქ. თბილისში, კახეთის გზატკეცილი, რკინიგზის ჩიხი №20-ში (ს/კ №01.19.21.002.032) განხორციელდა კაპიტალური შენობა-ნაგებობის მშენებლობა შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაციის გარეშე,

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ", "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის" საქართველოს კოდექსის 25-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 25-ე მუხლის მე-9 ნაწილის "გ" პუნქტით, 25-ე მუხლის მე-18 ნაწილით, 25-ე მუხლის 21-ე ნაწილით, 25-ე მუხლის 22-ე ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და 44-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ" პუნქტით

დავადგინე:

1. შპს „ფაზისი" დაჯარიმდეს 8.000 (რვაათასი) ლარით ქ. თბილისში, კახეთის გზატკეცილი, რკინიგზის ჩიხი №20-ში (ს/კ №01.19.21.002.032) შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაციის გარეშე კაპიტალური შენობა-ნაგებობის მშენებლობისათვის;

2. შპს „ფაზისი"-ს დაევალოს ქ. თბილისში, კახეთის გზატკეცილი, რკინიგზის ჩიხი №20-ში (ს/კ №01.19.21.002.032) უნებართვოდ აშენებული კაპიტალური შენობა-ნაგებობის დემონტაჟი;

3. შპს „ფაზისი"-ს დაევალოს "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის" საქართველოს კოდექსის 26-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ჯარიმა გადაიხადოს ბიუჯეტის სასარგებლოდ დაჯარიმების შესახებ დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში;

საჯარიმო თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე - **მიმღების დასახელება:** ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, **მიმღების ბანკი:** სახელმწიფო ხაზინა, **ბანკის კოდი: TRESGE22, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300773263, გადახდის დანიშნულება:** დადგენილების ნომერი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე.

4 საჯარიმო თანხის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში, შპს „ფაზისი"-ს დაევალოს, შესაბამისი გადახდის ქვითრის წარმოდგენა

5. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის" საქართველოს კოდექსის 25-ე მუხლის მე-10 ნაწილის შესაბამისად, "დამრღვევის მიერ დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო იღებს დადგენილებას საურავის დარიცხვის შესახებ", ხოლო "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის" საქართველოს კოდექსის 26-ე მუხლის მე-2 ნაწილით, დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში, დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში დადგენილებით განსაზღვრული საჯარიმო თანხის ოდენობით.

6. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის" საქართველოს კოდექსის 26-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დაკისრების სამართლებრივი საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, ჯარიმის დაკისრებიდან ყოველი სამი თვის შემდეგ, დამრღვევი დაჯარიმდება წინა ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობით, რომელიც დამრღვევს შეიძლება დაეკისროს არა უმეტეს სამჯერ.

7. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან (ჩაბარებიდან /განთავსებიდან) 15 დღის ვადაში ქ. თბილისის მერიაში (ქ. თბილისში, შარტავას ქ. №7).

სამსახურის უფროსის
მოადგილე **ქ. ზაქაშვილი**

06.03.14წ.

საგადახდო დავალება ეროვნული ვალუტის გადარიცხვაზე N 343503532

ID 343503532

პროკრედიტ ბანკი ProCredit Bank Georgia

გადამხდელის დასახელება	შპს "ფაზისი"		თანხა ციფრებით
პირადი #/ საიდენტიფიკაციო კოდი	208156412		8,000.00
ანგარიშის ნომერი	GE29PC0023600100013258		თანხა სიტყვებით
გადამხდელის ბანკი	სს "პროკრედიტ ბანკი"	კოდი: MIBGGE22	რვა ათასი ლარი 00 თეთრი
საბიუჯეტო/სსიპ-ის სასარგებლოდ გადახდა			
დასახელება	შპს "ფაზისი"		☐ სწრაფი გადარიცხვა (დამატებითი საკომისიო)
პირადი #/ საიდენტიფიკაციო კოდი	208156412		სწრაფი რეჟიმით გადარიცხვა სრულდება მხოლოდ 09:30 სთ-დან 16:00 სთ-მდე
მიმღების დასახელება	ხაზინის ერთიანი ანგარიში / არასაგადასახადო შემოსულობები / თბილისი		ბანკის აღნიშვნები
ანგარიში / სახაზინო კოდი	300773263		ბანკში შემოსვლის თარიღი
მიმღების ბანკი / ხაზინა	საქ.ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური	კოდი: TRESGE22	25.03.2014 16:34
გადახდის დანიშნულება	შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ - სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო		
დამატებითი ინფორმაცია	დადგენილება N 000444		ხელმოწერა
ხელმოწერები			
.....	ბეჭდის ადგილი		.....
.....			შტამპის ადგილი
	თარიღი: 25.03.2014		